შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

N 16
10/07/2020

16-08-4-202007101450

სოფელ ახალდაბაში მდებარე 411 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით გასაცემად შუახევის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საიჯარო ქირის ოდენობის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის~ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა შუახევის მუნიციპალიტეტის მერს შუახევის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ახალდაბაში მდებარე 411 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 24.07.356.430) აუქციონით, იჯარის ხელშეკრულებით გადასაცემად და წლიური საიჯარო ქირა განისაზღვოს ქონების ღირებულების (23000 ლარი) 5%-ის – 1150 (ათას ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარისათვის გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი დავითაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა